

ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქუჩა N17 საცხოვრებელი სახლის  
N40 ბინაზე, მოქალაქე ზურაბ სულაქველიძისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე ზურაბ სულაქველიძის წარმომადგენლის ნინო ცერცვაძის განცხადება /2010 წლის 08.12 N1634/, რითაც ითხოვს ბინაზე /მღებარე ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქუჩა N17 საცხოვრებელი სახლის N40 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქუჩა N17 საცხოვრებელი სახლის N40 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ზურაბ სულაქველიძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების საქალაქო სამსახურმა /ნ.ჩოგოვაძე/, ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქუჩა N17 საცხოვრებელი სახლის N40 ბინაზე /საერთო ფართობი 59,96 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 35,15 კვ.მ, დამხმარე ფართობი 24,81 კვ.მ./, მოქალაქე ზურაბ სულაქველიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე დ.ანდლულაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევლორაძე